



# სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება

N 20  
19/11/2019

20-0-4-201911191258



„სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“  
სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1.

„სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის №14 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 21/06/2017, 270070000.35.168.016212) დამტკიცებულ №2 დანართში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხა

#	თანამდებობის დასახელება	რაოდენობა
1	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი (I რანგი)	1
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში (III რანგი)	1
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (III რანგი)	1
4	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (III რანგი)	1
	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული, საორგანიზაციო განყოფილება	

1	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი (II რანგი)	1
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში (III რანგი)	1
3	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში (III რანგი)	2
4	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტექნიკურ საკითხებში (III რანგი)	1
<b>მეორადი სტრუქტურული ერთეული, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება</b>		
1	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების ხელმძღვანელი (II რანგი)	1
2	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში (III რანგი)	1
3	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (III რანგი)	1
<b>სულ:</b>		<b>12</b>

**მუხლი 2.**

დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

